პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 102 (5132)

1974 წ. 25 მაისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო.

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# დაწინაურდნენ ოლიმპიური ჩემპიონები

## სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი

დონის როსტოვი, 23 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს ადგილობრივ სპორტის სასახლეში დაიწყო ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატი. ფიცარნაგზე გამოვიდნენ უძლიერესი სპორტსმენები, ევროპის, მსოფლიო პირველობების, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები...

წინადღით ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ლატინინა.

— ჩემპიონატი დიდ ინტერესს იწვევს იმითაც, რომ საშუალება გვექნება შევარჩიოთ პერსპექტიული ახალგაზრდები, შევამოწმოთ ნაკრების კანდიდატთა მზადყოფნა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ. გვაინტერესებს ისიც, თუ როგორ გაუმკლავდებიან ჩვენს სახელმოხვეჭილ ტანმოვარჯიშე ქალებს ჯერ კიდევ ნორჩი, მაგრამ უკვე საკმაოდ დაოსტატებული სპორტსმენები, როსტოველები გროზდოვა და პარშინცევა, მინსკელები გორბიკი და სავინა, ჩელიაბინსკელი პრიმაკი და სხვები. ჩემპიონატისადმი დიდ ინტერესს ისიც მოწმობს, რომ აქ ჩამოვიდნენ ტანვარჯიშის სპეციალისტები გდრ-იდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან.

აი, სპორტსმენებმა მოთელვა დაამთავრეს და გონგმა მაყურებელს ასპარეზობის დაწყება აუწყა. ფიცარნაგზე პირველად ქალები გამოვიდნენ.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ტურიშჩევა (დონის როსტოვი) — 38,45 ქულა. მან პირველი დღის ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა, როცა თავისუფალ ვარჯიშში მსაჯებმა 9,75 ქულა დაუწერეს.

ლიდერს საკმაოდ ჩამორჩა II ადგილზე მყოფი ო. კორბუტი (გროდნო) — 37,7. მან ორძელზე 9,7 ქულა დაიმსახურა, ხტომაში და ძელზე კი ოდნავ წაიფორხილა — 9,2 და 9,3.

მესამე იყო მოსკოველი ე. სააძი — 37,65, მეოთხე — ჩიმკენტელი ნ. კიმი — 37,55, მეხუთე — მინსკელი ლ. სავინა — 37,35.

მოსკოველმა გ. ბოგდანოვამ და მინსკელმა ა. კოშელმა 37,2-37,2 ქულა დააგროვეს და VI-VII ადგილებს იყოფენ.

გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზზე გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში გამარჯვებული ს. გროზდოვა (დონის როსტოვი) და რ. სიხარულიძე (ბათუმი) X-XI ადგილებს იყოფენ — 37-37 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში „დინამოს“ პირველი ნაკრები დაწინაურდა — 187,0 ქულა.

ტანმოვარჯიშე ვაჟები საღამოს გამოვიდნენ სარბიელზე. ექვსივე იარაღზე ძალიან ძლიერად და მოხდენილად ივარჯიშა ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა. მან სავალდებულო პროგრამაში 56,4 ქულა დააგროვა (ტაიჭი — 9,5, რგოლები — 9,35, ხტომა — 9,45, ორძელი — 9,5, ძელი — 9,4, თავისუფალი ვარჯიში — 9,2). ანდრიანოვს 0,2 ქულით ჩამორჩა მოსკოველი ვ. კლიმენკო — 56,2 (თავისუფალი ვარჯიში — 9,35, ტაიჭი — 9,4, რგოლები — 9,4, ხტომა — 9,5, ორძელი — 9,3, ძელი — 9,25).

მომდევნო ადგილებისთვისაც დაძაბული ბრძოლა გაიმართა. III ადგილზეა მინსკელი ა. მალეევი — 55,55. შემდეგ მოდიან ვ. მარჩენკო (გროზნო) — 55,3, გ. ფოგელი (მოსკოვი) — 55,25, ე. მიქაელიანი (ერევანი) — 55,1.

გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზზე გამართული საერთაშორისო ასპარეზობის ლაურეატმა, თბილისელმა პ. შამუგიამ ტაიჭზე ვარჯიშში მხოლოდ 9 ქულა დაიმსახურა და ახლა, ნებისმიერი პროგრამის შესრულების წინ, 54,95 ქულა აქვს (VII ადგილი).

გუნდურ პირველობაში დაწინაურდა ცსკა — 277,0. II ადგილზეა „დინამო“ — 273,8, III — შეიარაღებული ძალების მეორე გუნდი — 271,65.

## ახალი ამბავი-74

● ბოსტადი, 22 მაისი. შვეციის ჩოგბურთელებმა დევისის თასის გათამაშების ევროპის „ბ“ ზონის მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს — აქ ანგარიშით 4:1 სძლიეს პოლონელებს. ბ. ბორგმა დაამარცხა ტ. ნოვიცკი (2:6, 6:2, 0:6, 6:1, 6:1), ლ. იუჰანსონმა — ვ. ფიბაკი (6:4, 2:6, 6:3, 7:5), ბორგისა და უ. ბენგტსონის წყვილმა — ფიბაკისა და ნოვიცკის დუეტი (6:4, 6:8, 6:2, 6:4), ბორგმა — ფიბაკი (6:0, 6:4, 6:4), ნოვიცკიმ — იუჰანსონი (6:0, 6:3, 13:11).

● ოსაკა, 23 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა იაპონიაში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა; ამჯერად აქ მასპინძელი ქვეყნის პირველ ნაკრებს შეხვდა. სტუმრები დამარცხდნენ — 0:3 (8:15, 9:15, 14:16). წინ კიდევ სამი გამოსვლაა. წინა ორ შეხვედრაში საბჭოთა გუნდმა იაპონიის პირველ და მეორე ნაკრებ კოლექტივებს სძლია.

● მინსკი, 23 მაისი. საგზატკეცილო ველოსპორტში დღეს აქ დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა მრბოლელებმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს: საუკეთესონი იყვნენ პროგრამის სამივე სახეობაში — 160 და 114 კილომეტრზე რბოლებში, აგრეთვე, კრიტერიუმში (18 წრე, თითოეული — 4,1 კმ). მათ უკან ჩამოიტოვეს ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. ყველაზე გრძელი დისტანცია პირველმა დაფარა ლენინგრადელმა ს. მოროზოვმა — 3:41.53,8. მეორე რბოლა სიმფეროპოლელმა დ. ტრიშინმა მოიგო — 2.30.26,5. კრიტერიუმში გაიმარჯვა მოსკოველმა ა. ონეგოვმა — 23 ქულა. როგორც სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. კაპიტონოვმა განაცხადა, ეს პირველი საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა ველოსიპედისტებისთვის შესარჩევი ტური იყო: საუკეთესოები იასპარეზებენ საკავშირო მრავალდღიან ველორბოლაში, რომელიც აქვე დაიწყება მაისის დამლევს.

● არკო დი რივა, 23 მაისი. იტალიის ამ სააგარაკო ქალაქში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ასუჭრიან შაშში. 7 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ანდრეიკო — 6 ქულა 7-დან, განტვარგი (ორივე — სსრ კავშირი) — 5,5 ქულა 6-დან, დროსტი — 4,5 ქულა 6-დან, ბერგსმა (ორივე — ჰოლანდია) — 4,5 ქულა 7-დან. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. ანდრეიკო ერთ დღეს ორ ჰოლანდიელ შაშისტს შეხვდა: დილით მან დამაჯერებლად სძლია დიდოსტატ პ. ბერგსმას, საღამოს კი ყაიმით დაამთავრა პარტია საერთაშორისო ოსტატ ფ. დროსტთან. მეორე დღეს რიგელმა დიდოსტატმა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ი. მარეკი დაამარცხა. დიდოსტატმა ა. განტვარგმა იტალიელ პ. ბადიალის და ბელგიელ მ. გრევუარს მოუგო. ფინიშამდე 6 ტურია.

● მოსკოვი, 23 მაისი. ლუჟნიკის სარბიელზე დღეს დაიწყო მშვილდოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „გაზაფხულის ისრები“. აქ ისევ თავი მოიყარეს მსოფლიოს უძლიერესმა მშვილდოსნებმა, ამერიკელთა გარდა. სარბიელზე გამოდიან დიდი ბრიტანეთის, გდრ-ის, დანიის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, ფინეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის სპორტსმენები. ყველაზე სახელოვანი მშვილდოსნები საბჭოთა გუნდში არიან: მსოფლიო ჩემპიონი ვ. სიდორუკი, ევროპის ჩემპიონი ქ. ლოსაბერიძე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ე. გაპჩენკო... თუმცა „გაზაფხულის ისრები“ აგერ უკვე მეხუთედ ტარდება, ვაჟთა შორის აბსოლუტურ გამარჯვებულთა სიაში მხოლოდ ერთი საბჭოთა მშვილდოსანია (ვ. რეზნიკოვი, 1971 წ.). ქალებს ბევრად უკეთესად აქვთ საქმე: მათ მხოლოდ ერთხელ დათმეს გამარჯვება. ახლაც, პირველი დღის შემდეგ, ლიდერობს შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული ვ. კოვპანი — 598 ქულა. ვაჟთა შორის დაწინაურდა ა. იაკობსენი (დანია) — 565. ეს სპორტსმენი უკვე მესამედ მონაწილეობს „გაზაფხულის ისრებში“, მისი აზრით, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების წინ ამაზე უკეთეს შეჯიბრებას კაცი ვერც ინატრებდა. არბიტრებს ელექტრონული ტექნიკა ეხმარებათ. პირველად სსრ კავშირში მშვილდოსანთა შეჯიბრების მასალებს ელექტროგამომთვლელი მანქანა ამუშავებს.

● ლონდონი, 23 მაისი. „კრისტალ პალასის“ სტადიონზე ბირთვის მკვრელთა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს ა. ფოიერბახს (აშშ) — 21,12 მ. მეორე იყო ბრიტანეთის თამაშების ჩემპიონი, 141-კილოგრამიანი გიგანტი ჯ. კეიპსი (ინგლისი) — 20,81 მ. ახალგაზრდა ინგლისელმა მძლეოსანმა მ. უინჩმა ბირთვი 20,43 მეტრზე ჰკრა.

● ჰელსინკი, 23 მაისი. ფინეთის ჩემპიონმა პ. პააივარინტამ 10 კილომეტრზე რბენაში წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგს მიაღწია — 28.37,4. მეორე იყო ინგლისელი ბ. პლეინი — 28.40,8. ქალთა სპრინტში გაიმარჯვეს ინგლისელმა ა. ლინჩმა, რომელმაც ძლიერ პირქარში 100 მ 11,4 წამში გაირბინა, და ავსტრალიელმა რ. ბოილმა (200 მ — 23,5). პოლონელმა ტ. სლიუსარსკიმ ჭოკით 530 სმ სიმაღლე დაძლია (საუკეთესო შედეგი წლეულს ევროპაში). ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა ამერიკელმა ბ. მაკუილკინსმა — 64,46 მ.

გაზეთმა „მოლოდიოჟ ესტონიიმ“, ქარხანა „დვიგატელისა“ და ქიმკომბინატ „მაარდუს“ ფიზკულტურის კოლექტივებმა მოაწყვეს ტრადიციული ველორბოლა, რომელიც ძველი ტალინის ულამაზეს ქუჩებში ჩატარდა. ამჯერად შეჯიბრებაში 130 ველოსიპედისტი ჩაება.

• • •

სურათზე: რბოლის მომენტი.

გ. კუზნეცოვის ფოტო (საკდესი).



## ბოლო ადგილზე

ტაშკენტში, უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრეში კიდევ ორი ტური გაიმართა.

კვლავ წარუმატებლად თამაშობენ თბილისის ბურევესტნიკელები. მათ კიდევ ორი შეხვედრა წააგეს: ჯერ კიევის ასკ-სთან — 19:23 (7:13), ხოლო შემდეგ ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ — 21:29 (12:13).

სამაგიეროდ, კარგად ითამაშეს თბილისელთა ძირითადმა მეტოქეებმა უმაღლესი ლიგის დატოვებაში — ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის ხელბურთელებმა, რომლებმაც ჯერ ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდს მოუგეს — 19:18 (11:7), ხოლო შემდეგ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა მოსკოვის „კუნცევოსთან“ — 22:22 (12:12).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ალუმინსტროი“ 25:24 (16:13), „კუნცევო“ — ცსკა 26:24 (14:12), ასკ — მეტალურგიული ინსტიტუტი 23:23 (13:11), ცსკა — საავიაციო ინსტიტუტი 21:28 (11:15).

მდგომარეობა 19 ტურის შემდეგ:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტ. | 17 | 0 | 2 | 539:439 | 34 |
| „კუნცევო“ | 12 | 2 | 5 | 449:440 | 26 |
| ცსკა | 11 | 2 | 6 | 462:404 | 24 |
| მეტ. ინსტ. | 8 | 4 | 7 | 427:399 | 20 |
| ასკ | 8 | 4 | 7 | 422:412 | 20 |
| „ალუმინსტ.“ | 6 | 1 | 12 | 411:462 | 13 |
| ფიზ. ინსტიტუტის სპორტკლუბი | 4 | 1 | 14 | 385:473 | 9 |
| „ბურევესტნიკი“ | 3 | 0 | 16 | 411:477 | 6 |

# ვარშავა — ბერლინი — პრაღა

პრაღა, 22 მაისი. ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის სტრაგოვის სტადიონზე დღეს დამთავრდა მშვიდობის XXVII ველორბოლა. ბოლო, XIV ეტაპი (მლადა ბოლესლავი — პრაღა, 160 კმ) მოიგო პოლონელმა ს. შოზდამ. ავდარში (ქროდა ძლიერი პირქარი და დროდადრო წვიმდა კიდეც) ამ შესანიშნავმა მრბოლელმა საუცხოოდ იასპარეზა სამთო გზებზეც და ფინიშის ხაზი 4 საათის, 3 წუთისა და 13 წამის შემდეგ გადაკვეთა. მეორე იყო ა. ჩუხოვი (სსრ კავშირი), მესამე — რ. ლაბუსი (ჩეხოსლოვაკია). მათაც ისეთივე დრო აქვთ, მაგრამ ფინიშზე გამარჯვებამ შოზდას 30 საპრემიო წამი მოუტანა.

შოზდამ გაიმეორა გორკელი გ. ლიხაჩოვის მიერ მშვიდობის ველორბოლაში შარშან დამყარებული რეკორდი: 6 ეტაპი მოიგო. მას დიდი დაფნის გვირგვინიც გადასცეს საბოლოო გამარჯვებისთვის — 42:17.44.

პირად ჩათვლაში II ადგილი დაიკავა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ნ. გორელოვმა — 42:20.48. მან მოიხვეჭა „მთის მეფის“ წოდება, — სამთო გზებზე 59 ქულა დააგროვა (აქ შოზდა მეორეა — 44 ქულა).

III ადგილზეა მ. გრაზდირა (ჩეხოსლოვაკია) — 42:22.31.

ტარტუელმა ა. პიკუუსმა ჰოლანდიელი ფ. სკუერის შემდეგ V ადგილი დაიკავა (42:27.32), რაც ამ ახალგაზრდა სპორტსმენის უდავო წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, ერთ-ერთი ბოლო ეტაპის ფინიშზე პიკუუსი პირველი შეიჭრა სტადიონზე, მაგრამ სიჩქარეს ვერაფერი მოუხერხა, აგურის ღობეს გადააფრინდა და ფეხბურთის მინდორზე ამოყო თავი.

კუიბიშეველი ა. ჩუხოვი IX ადგილზეა (42:29.28), ლიხაჩოვი — XII (42:33.43), ომსკელი ი. სკოსირევი — XXI (42:40.56), კუიბიშეველი ი. მიხაილოვი — XXVIII (42:45.48).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პოლონეთი — 127:12.05, სსრ კავშირი — 127:15.14, ჩეხოსლოვაკია — 127:17.23.

წინა ნომერში ჩვენ ვწერდით ველორბოლის დანაკლისზე. XIII ეტაპზე (და არა „მესამე ეტაპზე“, როგორც მე-4 გვერდზე გამოქვეყნებული მასალის ბოლო აბზაცში ვწერდით) ბრძოლაში 89 ველოსიპედისტი ჩაება, მაშინ, როცა ვარშავაში 106 მრბოლელმა აიღო სტარტი. XIV ეტაპზეც რამდენიმე ველოსიპედისტი გამოაკლდა რბოლას.

მაშ ასე: მშვიდობის XXVII ველორბოლა მარშრუტით ვარშავა — ბერლინი — პრაღა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა.

# უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანა

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დონე საერთოდ საზოგადოების, კერძოდ კი, მისი კულტურული დონის თვალნათლივ მაჩვენებელია.

ბოლო ხანს საქართველო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ტემპით საგრძნობლად ჩამორჩა მოკავშირე რესპუბლიკებს. ამის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ტრადიციული V ადგილის მაგიერ VI ადგილი დაიკავა, ხოლო VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეჯიბრებაში VII ადგილზე გავიდა. ამასთან, სპორტის ისეთ მთავარ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ჩვენი ახალგაზრდული გუნდები შესაბამისად XIV, VIII, VI ადგილებზე აღმოჩნდნენ. ამან არ შეიძლება ჩვენი კანონიერი შეშფოთება და გულისწყრომა არ გამოიწვიოს.

ფიზკულტურა სპორტის საფუძველია. ყოველი სპორტსმენი ფიზკულტურელია, მაგრამ ყოველი ფიზკულტურელი სპორტსმენი არ არის. ფიზკულტურა ადამიანისთვის აუცილებელია დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე. სპორტის „ასაკი" შემოიფარგლება საშუალოდ 25 წლით. მთელ რიგ სახეობებში უმაღლეს შედეგებს სასკოლო ასაკში აღწევენ.

ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, რომლის განუყოფელი ნაწილია ფიზკულტურა და სპორტი, საძირკველი ეყრება სახალხო განათლების სასწავლო-აღმზრდელობითს ორგანიზაციებში — ბაგაში, ბაღში, სკოლაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდა საკლასო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობით ხორციელდება. ამიტომ მუშაობის სამივე ფორმაში საუკეთესოდ უნდა იყოს გადაწყვეტილი ფიზკულტურისა და სპორტის სწავლების საკითხები.

საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის განხილვისას ჩამორჩენის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად სამართლიანად ასახელებენ ამ დარგში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეტად სუსტ მუშაობას. აღნიშნავენ, რომ ძალიან ბევრ სკოლას არა აქვს სპორტული ბაზები, ახალი სკოლების მშენებლობისას ხშირად არ არის გათვალისწინებული სპორტდარბაზები, ხოლო თუ გათვალისწინებულია, მწყობრში დიდი დაგვიანებით დგება. არ არის საკმარისი სასწავლო-სპორტული ინვენტარი, დაბალია მასწავლებელთა მომზადების დონე, გაკვეთილის ხარისხი და სხვ. ასეც რომ არ იყოს, შეუძლებელია სერიოზულად ვიფიქროთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოზარდი თაობის სრულყოფილ ფიზიკურ აღზრდაზე, როცა ფიზკულტურას კვირაში ორი საათი ეთმობა, ხოლო კლასგარეშე წრიული მუშაობა სპორტის ერთი-ორი სახეობით ამოიწურება და ბევრგან არ ტარდება სისტემატურად, სასურველ დონეზე.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა დაბალ შედეგებს იმით ხსნიან, რომ ცუდად მუშაობენ მწვრთნელები, უმაღლესი სასწავლებლები, სპორტული საზოგადოებები, რომ უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლები არ ივსება შესაფერი კონტინგენტით, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში არ მოდის სათანადოდ მომზადებული ცვლა და ა. შ.

რატომ ხდება ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ საქართველოში დღემდე სერიოზულად არ დასმულა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების საკითხი. მოზარდთა სპორტსკოლა არა მარტო საფუძველია დიდი სპორტისა, არამედ ხშირად თვითონ წარმოადგენს დიდ სპორტს. შეიძლება დავასახელოთ ძალიან ბევრი სპორტსმენი, რომლებიც 14-17 წლის ასაკში გახდნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, რეკორდსმენები. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში?

საქართველოში 122 მოზარდთა სპორტსკოლაა, რომლებშიც მეცადინეობს სპორტსკოლის ასაკის მოსწავლეთა დაახლოებით 6 პროცენტი, ანუ მსურველთა 15 პროცენტი. ეს ძალიან ცოტაა. ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა შედარებით მცირერიცხოვანია. ამიტომ, თუ გვსურს მოწინავეთა რიგებში ვიყოთ, ეს მაჩვენებელი 4-5-ჯერ უნდა გაიზარდოს. დიდი სპორტის ძალა მოზარდთა სპორტის მასობრიობაშია.

სპორტსკოლების უმრავლესობას არა აქვს ძირითადი დოკუმენტი — დებულება, თუ აქვს, სპორტსკოლის კონკრეტულ შესაძლებლობებს არ შეესაბამება.

განათლების სამინისტროს სპორტსკოლების დიდი ნაწილი იმდენად მცირეძალოვანია (4-5 განაკვეთი), რომ ფაქტიურად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა დამატებითი ხელფასის წყაროს წარმოადგენს.

არც ერთ სპორტსკოლას არა აქვს ისეთი სპორტული ბაზა, სადაც შესაძლებელი იქნება სასწავლო-საწვრთნელი პროცესის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ჩატარება.

მოზარდთა სპორტსკოლებში სამუშაოდ არ მიდიან მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელ-მასწავლებლები, რადგან აქ შრომის ანაზღაურება, მიუხედავად მეტი პასუხისმგებლობისა და დატვირთვისა, ბევრად ნაკლებია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის გასამრჯელოზე. მაგალითად, მუშაობის 15 წლის სტაჟის მქონე პედაგოგი სპორტსკოლაში ჩატარებულ ყოველ საათში ორჯერ ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა უნდა იყოს სოლიდური აღმზრდელობით-სპორტული ორგანიზაცია, უნდა ჰქონდეს საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზა, ჰყავდეს პედაგოგთა მაღალკვალიფიციური კადრები და წარმატებით წყვეტდეს სპორტსკოლის დებულებით გათვალისწინებულ კონკრეტულ ამოცანებს.

მეორე მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ მუშაობენ სპორტსკოლები არსებულ პირობებში, აკეთებენ თუ არა ყველაფერს შესაძლებლობის ფარგლებში?

რესპუბლიკის 120 ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლიდან 1972 წელს 106 განათლების ორგანოებს ეკუთვნოდა, 14 — სხვა ორგანიზაციებს. ამიტომ მოზარდთა სპორტის ავკარგიანობისთვის პასუხი უმთავრესად განათლების სამინისტროს მოეკითხება. 1972 წელს პროფსაბჭოს, „დინამოს", „განთიადისა" და სხვა ორგანოების 14 სკოლამ 15 სპორტის ოსტატი მოამზადა, განათლების სისტემის 106 სკოლამ კი — 11, აქედან უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურმა სკოლამ — 3, თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპეციალიზებულმა სკოლამ, რომელმაც ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 21 ოსტატი — მხოლოდ 1.

1973 წელს მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა: საქართველოს 122 სპორტსკოლაში მომზადდა 7 ოსტატი, აქედან განათლების ორგანოების 109 სპორტსკოლაში — 3. მთლიანად სპორტსკოლების სუსტ მუშაობაზე მეტყველებს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადების მეტად დაბალი შედეგები.

საქართველოში სპორტის განვითარებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი ადგილი თბილისის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციას უკავია. თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის, რესპუბლიკურ სპარტაკიადაში დედაქალაქის საუკეთესო სპორტსმენთა მონაწილეობის, ქალაქის ახალგაზრდული სპორტული თამაშების ძლიერ დაბალი შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ სუსტია ქალაქის სპორტული ორგანიზაციების მუშაობისადმი თბილისის განათლების განყოფილების, თბილისის სპორტკომიტეტის კონტროლი, მომთხოვნელობა, დახმარება. მოზარდთა სპორტი არ არის მასობრივი. უსწოროდაა გადაწყვეტილი მისი ორგანიზაციული მხარეები.

1970 წლიდან თბილისის რაიონების სპორტსკოლებში დაიხურა რამდენიმე განყოფილება, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან, სკოლებისთვის სავალდებულო სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა და ტანვარჯიში. ახლა ამ სკოლების მუშაობა ძირითადად სპორტთამაშობათა 4-6 სახეობის 15-30 ჯგუფით შემოიფარგლება.

როგორ უნდა მოემსახუროს ორჯონიკიძის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სპორტსკოლა, რომლის ოთხ განყოფილებაში 1972 წელს 15 ჯგუფი მუშაობდა? ან რა გუნდები უნდა გამოიყვანოს მან კომპლექსურ საქალაქო შეჯიბრებებში, რომელთა პროგრამაში სპორტის ბევრი სხვადასხვა სახეობა შედის? მდგომარეობა არსებითად არც 1973 წელს შეცვლილა.

თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის, ფეხბურთისა და ფარიკაობის სპეციალიზებულ სკოლებსაც კი არ გააჩნიათ საკუთარი ბაზები.

ვნახოთ, როგორ მუშაობს თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლა, რომელსაც რესპუბლიკის სხვა სპორტსკოლებთან შედარებით ბევრად უკეთესი პირობები აქვს, რომლის მუშაობაზეც დიდადაა დამოკიდებული ქართული ტანვარჯიშის ბედი. ამ სკოლისა და „განთიადის" ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სპეციალიზებული სკოლის 1972 წლის მუშაობის შედეგების შედარება შემდეგ სურათს იძლევა:

| სპორტსკოლა | მომზადდა სპ. ოსტ. კანდ. | I თან. | II თან. | მუშაობს ჯგუფი | დაიხარჯა მწვრთნ. ხელფასი |
|---|---|---|---|---|---|
| განათლების განყოფილების | 1 | 2 | 6 | 7 | 51 | 86,7 ათ. მ.ნ. |
| „განთიადის" | 5 | 4 | 8 | 8 | 29 | 20,3 ათ. " |

მოყვანილი ტაბულიდან ნათლად ჩანს, რომ განათლების განყოფილების სამნაკადიანი სკოლა მუშაობის უკეთეს პირობებში ოთხჯერ მეტ ფულად სახსრებს ხარჯავს და ორჯერ ნაკლებ შედეგს იძლევა, ვიდრე „განთიადის" ორნაკადიანი სკოლა.

უმთავრესად თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული სკოლის ძალიან სუსტმა მუშაობამ გამოიწვია ის ამბავი, რომ საპრიზო ადგილებს შეჩვეულმა რესპუბლიკის გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდებმა 1972 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში VII ადგილები დაიკავეს, 1973 წელს ახალგაზრდული ნაკრები გუნდები VIII ადგილზე დარჩნენ.

რომელ საწარმოს მოუთმენდნენ ასე უკონტროლოდ, სათანადო უკუგების გარეშე სახელმწიფო თანხების ხარჯვას?

1971 წლის ნოემბერში რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრებაზე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა აღნიშნა: „ტანვარჯიშში განათლების სისტემის სპორტსკოლების 100-მდე ჯგუფის მუშაობის ნაყოფს ბევრად აღემატება „განთიადის" სპორტსკოლის რამდენიმე ჯგუფის შრომის შედეგი".

თბილისის სპორტკომიტეტსა და განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას არც ამის შემდეგ მიუღიათ რაიმე ქმედითი ზომები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

როგორც ჩანს, სპორტსკოლები თავიანთს შესაძლებლობებს ნაკლებად იყენებენ. ამიტომ დროულად უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები ამ სასწავლებლების მთელი ძალით ასამუშავებლად. მოზარდთა სპორტში მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის ჩამორჩენის დაძლევა.

პერიფერიებში, ქალაქებისა და რაიონების უფროსთა ნაკრები გუნდები მთლიანად ან უმეტესწილად მოზარდთა სპორტსკოლების აღსაზრდელებისგან შედგება. ამიტომ მათ ადგილობრივი სპორტსკოლები და სპორტკომიტეტები ერთობლივი ძალებით ამზადებენ. ამის შედეგია, რომ პერიფერიების მოზარდთა ნაკრები გუნდები სპორტის რიგ სახეობებში იმარჯვებენ თბილისელ თანატოლებთან შეჯიბრებაში.

სხვა მდგომარეობაა თბილისში. ქალაქის მოზრდილთა ნაკრებ გუნდებს უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლები ამზადებენ. ამიტომ ამ დიდ უბანზე თბილისის სპორტკომიტეტს თითქმის არაფერი აქვს გასაკეთებელი. მაშასადამე, ქალაქის სპორტკომიტეტმა მეტი პრინციპულობა და მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინოს ფიზკულტურისა და სპორტის სხვა უბნებზე საერთოდ, კერძოდ კი, თბილისში მოზარდთა სპორტში მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ღონისძიებათა კალენდარიც ამ მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა შედგეს.

კარგი იქნება, თუ საქართველოს პროფსაბჭო, უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტრო თბილისში გახსნიან მოზარდთა კომპლექსურ სპორტსკოლას, რომელიც სპორტში ფართოდ ჩააბამს ტექნიკუმების მოსწავლე ახალგაზრდობას.

ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოებებს მხოლოდ გამონაკლისის სახით შეუძლიათ მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება. არ შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ, რომ ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა დაწესებულებების მშრომელები შეძლებენ დამატებით იმუშაონ ამ მიზნით. ამას ადასტურებს პროფკავშირების 1973 წლის რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები. ამიტომ მიზანშეწონილია სპორტსაზოგადოებათა სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდეს მოზარდთა სპორტსკოლების ქსელის გაფართოებას. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი". თუ განათლების ორგანოების სპორტსკოლებიდან უმაღლეს სასწავლებლებში სათანადოდ მომზადებული ახალგაზრდობა მოვა, „ბურევესტნიკს" შეუძლია გააუმჯობესოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების მიერ დასუსტებული სპორტული დახელოვნების გაერთიანებული ჯგუფების მუშაობა და ქართულ სპორტში დიდი წვლილის შეტანაც. ამ საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. „ბურევესტნიკის" გარდაქმნა პროფკავშირულ-საუწყებო ორგანიზაციად საგრძნობლად გაზრდის მის ავტორიტეტს და ქმედითუნარიანობას.

სოფელი ჯერჯერობით სპორტის ყამირი და დიდი რეზერვია. სოფლის სკოლებში მუშაობის გაუმჯობესებისთვის ახლახან მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით იზრდება „კოლმეურნის" პასუხისმგებლობაც. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად ზუსტად უნდა განისაზღვროს სოფლად „კოლმეურნისა" და განათლების ორგანოების საქმიანობის შინაარსი და მოცულობა. რიგ შემთხვევებში მეტად სასარგებლო იქნება მათი სახსრების კოოპერირებით სოფლად მძლავრი სპორტსკოლების გახსნა.

ბოლო წლებში თბილისში გაიხსნა უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლები, სადაც საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში მეცადინეობენ. მათ მუშაობისთვის შედარებით დამაკმაყოფილებელი პირობები აქვთ შექმნილი. დასამალი არ არის, რომ ამ სკოლების მცირერიცხოვანი კონტინგენტი შესაფერისი მომზადების მქონე სპორტსმენებით არ ივსება. ასეთ პირობებში გაუმართლებელია თბილისის სპორტკომიტეტისა და განათლების სამინისტროს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების არსებობა, აქედან გამოთავისუფლებული საკმაოდ დიდი სახსრებისა და კადრების წარმატებით გამოყენება შეიძლება სხვა უბნებზე. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენს სინამდვილეში უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების გახსნა იგივეა, რაც მაღლივი სახლების მშენებლობის სახურავიდან დაწყება.

საქართველო სპორტული ბაზების მხრივ XIV ადგილზეა სსრ კავშირში. ასე არ იქნებოდა, განათლების სამინისტროს სპორტსკოლების მესამედს მაინც რომ ჰქონდეს შესაფერისი ბაზები. გვახარებს, რომ ჩვენში ყოველწლიურად მწყობრში დგება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ათეულობით კეთილმოწყობილი შენობა, მაგრამ რატომ არიან განათლების ორგანოების ღვიძლი შვილები — სპორტსკოლები გერის როლში? რატომ არ შეიძლება წელიწადში სპორტსკოლის ერთი შენობა მაინც აშენდეს? ამისთვის ხომ ათჯერ ნაკლები სახსრებია საჭირო.

ცხადია, შეუძლებელი არაფერია. მთავარია მონდომება და საქმის საჭიროების შეგნება. ხომ აშენდა თბილისის კალინინის რაიონის სპორტსკოლისთვის რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზი, როცა იქ პარტიის რაიკომის პირველ მდივნად ს. როგავა მუშაობდა? გორის ქალაქკომის ყოფილი პირველი მდივნის შ. ბერიანიძის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით დაიწყო მოზარდთა სპორტსკოლის შესანიშნავი კომპლექსის მშენებლობა. თბილისის საავიაციო ქარხანაში ამ ქარხნის დირექტორ ი. ხვედელიანის ხელმძღვანელობით კარგი სპორტული კომპლექსი აშენდა...

ჩვენი რესპუბლიკა უღარიბესია ცურვის ბაზებით. არსებული საცურაო აუზების დიდი ნაწილი მოუვლელია. სპორტულ ნაგებობათა, მოწყობილობათა და ინვენტარის სპეციფიკურობა, სამუშაოთა ნაწილის შედარებით მცირე მოცულობა, სამშენებლო მასალით ცუდი მომარაგება მეტად აძნელებს მათს მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია თბილისის სპორტნაგებობათა ყოფილი სარემონტო კონტორის სპორტნაგებობათა მძლავრ რესპუბლიკურ სპეციალიზებულ სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციად გადაკეთება.

შეჯიბრებები თანაბარ პირობებში და ობიექტურ ვითარებაში უნდა ტარდებოდეს. სპორტის მასობრიობას, მის მორალურ მხარეს ზიანს აყენებს ის გარემოება, რომ სპორტის ოსტატთა მომზადებას პარალელურად ორ ორგანიზაციას უთვლიან, „კოლმეურნის" ღირსებას ქალაქელები იცავენ, ერთი ორგანიზაციის გუნდები მეორე ორგანიზაციის ხარჯზე არიან გაძლიერებული. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა სპორტსმენები ერთდროულად ორ-სამ ორგანიზაციას ეკუთვნიან.

შარშან თბილისის განათლების განყოფილების აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპორტსკოლის აკრობატთა ნაკრებმა გუნდმა კიშინიოვში სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრებაში ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა, რადგან ამ სკოლის აღსაზრდელების ერთი ნაწილი ბორისოვში „შრომითი რეზერვების" სახელს იცავდა და უშუალოდ თავის შეჯიბრებაზე დააგვიანა.

თუ განათლების განყოფილებას არ აინტერესებს, სად დადიან მისი მოსწავლეები, რას აკეთებენ სპორტსკოლები, საქართველოს სპორტკომიტეტი მაინც უნდა დაინტერესებულიყო, რატომ ედოთ ბავშვებს ერთ ჯიბეში სპორტსკოლის მოსწავლის, ხოლო მეორეში „შრომითი რეზერვების" საბუთები, როგორ გავიდნენ გუნდები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მისი ნებართვის გარეშე. უნდა დამთავრდეს ერთი კვიცის ორი მხედრით ქენება, მინდობილი საქმე ყველამ პირნათლად უნდა აკეთოს.

კარგი იქნება, თუ განათლების სამინისტროს მიეცემა უფლება, რომ სპორტღონისძიებებისთვის განკუთვნილი სახსრების მცირე ნაწილი, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის წარდგინებით პერსპექტიულ მოსწავლე-სპორტსმენთა ჯგუფის გასაძლიერებლად გამოიყენოს.

სპორტში წარმატება შეუძლებელია სპორკომიტეტების საზოგადოებრივი ორგანიზაციების — სპორტული ფედერაციების აქტიური მუშაობის გარეშე. ფედერაციების საბჭოები, მათი პრეზიდიუმები წარმოადგენენ სპორტის ამა თუ იმ სახეობის საუკეთესო სპეციალისტთა გაერთიანებას, რომლის თავკაცებიც მათ შორის საქმის ყველაზე უკეთესად მცოდნენი და ენერგიული ორგანიზატორები უნდა იყვნენ. ფედერაციების თავმჯდომარეებად თანამდებობის პირების არჩევამ, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, შეიძლება ზიანი მიაყენოს არა მარტო ფედერაციის, არამედ ფიზკულტურისა და სპორტის უმაღლესი ორგანოს — კომიტეტის ავტორიტეტს.

სპორტული ფედერაციების მუშაობა გადაჭრით უნდა გააქტიურდეს, უნდა გაიზარდოს მათი პასუხისმგებლობა რესპუბლიკაში სპორტის მდგომარეობისთვის.

საქართველოს მწვრთნელ-მასწავლებლები უმეტესად პატიოსანი, შრომისმოყვარე, თავისი საქმის მცოდნე ადამიანები არიან. უნდა აღდგეს და განმტკიცდეს სპეციალისტებში იმის რწმენა, რომ ყოველგვარი სიკეთე მხოლოდ მათი თავდადებული შრომის ნაყოფი შეიძლება იყოს, რომ მწვრთნელი — აღმზრდელი მთავარი ფიგურაა სპორტული ღირებულების შექმნაში.

მრავალი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სპორტსმენებისთვის ასპარეზის დატოვებისთანავე, სერიოზული პრაქტიკის გაუვლელად, ხელმძღვანელ ორგანიზატორულ სამუშაოზე ან მწვრთნელ-მასწავლებლად დანიშვნა სასურველ შედეგს არ იძლევა. კადრების აღზრდისთვის მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და ხანდაზმული მუშაკების ცოდნისა და გამოცდილების გონივრული სინთეზის მიღწევა.

სპორტის ზოგიერთ სახეობაში მოპოვებულმა კარგმა შედეგებმა არ უნდა დაგვავიწყოს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საერთო არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

„უნივერსიადა-73"-ის მონაწილეებისადმი მისალმებაში ლ. ბრეჟნევმა თქვა: „ფიზიკური კულტურა და სპორტი მკვიდრდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ უმჯობესდება ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანის გადაწყვეტის პირობები". საქართველოს არ გაუჭირდება, რომ ამ საქმეშიც მოწინავეთა რიგებში იყოს.

**გ. ძილაია,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

# ძნელი მატჩი ჩემპიონთან

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 23 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) 1:0 (0:0).

„დინამო“: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (წერეთელი), გ. მაჩაიძე.

„არარატი“: აბრამიანი, გევორქიანი (არუთინიანი), ზონდარენკო, მარტიროსიანი, მესროპიანი, ანდრიასიანი, პოლოსიანი, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, პეტროსიანი (ლაზარიანი).

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:2.

თავის დროზე, როცა ფეხბურთში შემოვიდა ახალი სქემა მოთამაშეთა განლაგებით 4+4+2, ბევრი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, პროგრესული იყო იგი თუ არა, ღრმა დაცვას ქადაგებდა, თუ რთულ, მაგრამ საინტერესო შესაძლებლობებს ქმნიდა საფუძვლიანად გამაგრებული შუა მინდვრიდან ნახევარმცველთა მოულოდნელი გასვლისთვის წინა ხაზზე.

მომხრენი საკმაოდ ჰყავდა როგორც ერთ, ისე მეორე შეხედულებას, თუმცა ყველაზე დასაბუთებული არგუმენტები ოპონენტებს ჯერ კიდევ მაშინ წარუდგინეს ინგლისელმა და კიეველმა ფეხბურთელებმა: პირველებმა სწორედ ამ სისტემის გამოყენებით მოიგეს მსოფლიო ჩემპიონობა, მეორენი კი წლების განმავლობაში საბჭოთა ფეხბურთის უდავო ჰეგემონები იყვნენ.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ გამოიყენებს ამ სქემას, რა ფუნქციებს დააკისრებს ფეხბურთელებს, როგორ ათამაშებს ნახევარდაცვის რგოლს.

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ერევნელებთან მატჩში სწორედ ზემოხსენებული სისტემა გამოიყენა. გუნდს წინა ხაზზე ჰყავდა ორი „წმინდა“ თავდამსხმელი — გუცაევი და გ. ნოდია (შემდგომში — წერეთელი), ხოლო ნახევარდაცვაში — ოთხი ჰავბეკი. ნაწილობრივ ეს გამოწვეული იყო ტრავმირებული ყიფიანის არყოფნით, ნაწილობრივ იმით, რომ „არარატი“ ძალიან ძლიერია შუა მინდორში და საჭირო იყო მისთვის ასეთივე ძალის დაპირისპირება იქ, სადაც ბევრი რამ წყდება 90-წუთიანი ბრძოლის მსვლელობაში.



სურათზე: ახეთი მომენტი რამდენიმეჯერ შეექმნა თბილისელთა თავდამსხმელს ვ. გუცაევს, სტუმართა კარი კი ამჯერადაც გადარჩა ხიფათს: ბურთი მიზანს ასცდა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

თითო-ოროლა მატჩის მაგალითზე ძნელია საბოლოო დასკვნების გაკეთება, მით უმეტეს, რომ ეს სქემა არ წარმოადგენს ჩვენი გუნდის „ამპლუას“, მაგრამ, ვფიქრობთ, მან ამჯერად გაამართლა, გაამართლა არა მარტო შეხვედრის შედეგით, არამედ თვით თამაშის მსვლელობით, მისი შინაარსით. „დინამოს“ ჰყავს მოიერიშე ნახევარმცველები ასათიანი და მ. მაჩაიძე, რომლებიც შესაძლებლობის ფარგლებში მუდამ ავსებენ თავდასხმის რიგებს, ახლა კი მათ აქტიურად შეუერთდა გ. მაჩაიძეც, რომელსაც ხელიდან არ გაუშვია არც ერთი შემთხვევა მოიერიშე ნახევარმცველის როლის შესრულებისა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ პენალტი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა დინამოელებს, დაინიშნა სწორედ გ. მაჩაიძის გარღვევის შედეგად. იგი მე-14 წუთზე სწრაფად გავიდა მარცხენა ფლანგზე, მოუგო ორთაბრძოლა სამ მცველს და შეჯარის მოედნამდე მიაღწია. აქ გ. მაჩაიძე წააქციეს. ვ. ლიპატოვმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ჰელიძემ.

მატჩის დასაწყისში გატანილ გოლს თითქოს სერიოზული კორექტივები უნდა შეეტანა ორივე გუნდის სამოქმედო გეგმაში, მაგრამ დინამოელებმა არ დათმეს თავიდანვე აღებული ტემპი, ინიციატივა, და თამაში კვლავ იერიშებით განაგრძეს. შეტევისას განსაკუთრებით გამოირჩეოდა სწრაფი, ტექნიკური, აგრესიულად განწყობილი გუცაევი. იგი ხშირად მოძრაობდა თავდასხმის მთელს ზონაში, ადგილებს იცვლიდა ფლანგიდან ფლანგზე და ხშირად სძლევდა არა მარტო პერსონალური დარაჯის გევორქიანის, არამედ მისი მაშველი ძალების წინააღმდეგობასაც და მრავლად ქმნიდა სახიფათო მომენტებს მოპირდაპირე კართან. დასანანია მხოლოდ ის, რომ გუცაევმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის ორი-სამი აშკარა შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მინდორზე შეიცვალა: ერევნელები ათამაშდნენ სრული ძალით, მთელი შესაძლებლობით. მათ მთელი პერიოდები ჰქონდათ ისეთი, როცა ბურთი არ სცილდებოდა მასპინძელთა ნახევარს, იერიშში მონაწილეობდნენ ნახევარმცველებიც და მცველებიც და ამ მძიმე სიტუაციაში შესანიშნავად ითამაშა „დინამოს“ დაცვამ. იყო მომენტები, როცა „არარატის“ შეტევებს მხოლოდ თავგანწირული, უშიშდომო ურთიერთმოქმედება თუ მოიგერიებდა, თბილისელთა მცველებმა კი სწორედ ასე ითამაშეს და, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იხსნეს გუნდი ხიფათისაგან. საიმედოდ შებოჭეს ერევნელთა მთავარი გამთამაშებელი, შემტევი სამეული: მარქაროვი — ანდრეასიანი — იშტოიანი. დინამოელებმა ამას მიაღწიეს იმით, რომ ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხინჩაგაშვილი და კანთელაძე წუთითაც არ გამოთიშულან საერთო გეგმიდან და ერთმანეთს აზღვევდნენ დაუზარებლად, დიდი დატვირთვით, ტაქტიკურად სწორად. უყურადღებოდ არ იყო დარჩენილი სტუმრების არც ერთი მოთამაშე. ნათქვამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ, იმ დიდი ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, რომელიც „არარატს“ ჰქონდა მეორე ტაიმში, მეკარე გაგოშიძეს თითქმის არც ერთხელ არ დასჭირვებია ძნელი ბურთის აღება. ყველა იერიშს კარიდან დაცილებით იგერიებდა დაცვა, საკუთარ თავზე გადაჰქონდა მთელი სიმძიმე.

მატჩი ძალიან ძნელი და მძიმე იყო ორივე მხარისთვის. თბილისელებმა იგი მოიგეს და პირველი გამარჯვება ჩაიწერეს ცხრილში. იმედი გვაქვს, ამ პრინციპული მატჩის მოგება სტიმულად იქცევა და დინამოელები უახლოეს შეხვედრებში გამოასწორებენ თავიანთს არასახარბიელო მდგომარეობას.

დანიშნული იყო სპეციალური პრიზები ცალკეული მოთამაშეებისთვის. ანგარიშის გახსნის პრიზი მიიღო ვ. ჰელიძემ, ერევნელთაგან საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ა. ანდრეასიანი, ხოლო თბილისელთაგან — გ. მაჩაიძე.

ზ. ქორქია.

## XXXVI ჩემპიონატი

### ჩემპიონატის ქრონიკა

23 მაისს გაიმართა მორიგი, VII ტურის მატჩები.

„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ 1:0. ერთადერთი ბურთი ნახევარმცველმა მუნტიანმა გაიტანა 62-ე წუთზე.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ 2:0. დინამოელებმა პირველი გამარჯვება ჩაიწერეს მიმდინარე ჩემპიონატში. ბურთები გაიტანეს ბაბენკომ და კომაროვმა.

„ქაირათი“ — „ფახთაქორი“ 4:3. თავი გამოიჩინა მასპინძელთა თავდამსხმელმა იონკინმა, რომელმაც მიმდინარე სეზონში პირველმა შეასრულა „ჰეტ-თრიკი“, ესე იგი, 3 გოლი გაიტანა. მეოთხე ბურთი ეკუთვნის მარკინს. სტუმართაგან გოლები გაიტანეს ფიოდოროვმა, ხოძიპანაგისმა და ანმა (პენალტი). აღსანიშნავია, რომ თამაშის დროს მოხდა სერიოზული ინციდენტი, ჩხუბი ერთმანეთს შორის, რის გამოც მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ალმაათელი ხისამუტდინოვი და ტაშკენტელი ანი. მიუხედავად ამისა, მწვრთნელებმა ხისამუტდინოვს დაუწერეს ხუთიანი, ანს კი — ოთხიანი.

„ნისტრუ“ — „ჩერნომორეცი“ 1:2. ზუბკოვის მიერ გატანილი გოლი გაქვითა კიშინიოველმა მიხაილოვმა, მაგრამ ლეშჩუკმა კვლავ წინ გაიყვანა სტუმრები.

„შახტიორი“ — „კარპატი“ 2:1. 2 გოლი გაიტანეს საფონოვმა და შევლიუკმა, ხოლო საპასუხო — კოზინკევიჩმა.

„ზარია“ — „დნეპრი“ 1:1.

### უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 24 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 7 | 4 | 2 | 1 | 10—5 | 10 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 7 | 3 | 3 | 1 | 9—5 | 9 |
| „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 7 | 3 | 3 | 1 | 12—10 | 9 |
| ცსკა | 6 | 3 | 2 | 1 | 11—7 | 8 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 7 | 2 | 4 | 1 | 11—10 | 8 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 7 | 2 | 3 | 2 | 8—7 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 7 | 1 | 5 | 1 | 7—6 | 7 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 6 | 1 | 5 | 0 | 6—5 | 7 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—6 | 7 |
| „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 7 | 2 | 2 | 3 | 11—12 | 6 |
| „არარატი“ (ერევანი) | 7 | 2 | 2 | 3 | 7—8 | 6 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 7 | 2 | 2 | 3 | 6—8 | 6 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 6 | 2 | 1 | 3 | 3—5 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 6 | 1 | 3 | 2 | 3—6 | 5 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 7 | 0 | 4 | 3 | 6—10 | 4 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 7 | 1 | 2 | 4 | 1—6 | 4 |

### I ლიგა

22 მაისს შედგა ორი შეხვედრა. როსტოვის არმიელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, ხოლო ბაქოს „ნეფთჩიმ“ მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ — 2:1.

## მოზარდთა ტურნირი

ტყიბული, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ მიმდინარეობს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური ტურნირი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, გორისა და რუსთავის გუნდები.

გათამაშება 21 მაისს დაიწყო. აჭარისა და ქუთაისის გუნდებმა ითამაშეს ფრედ (0:0), ხოლო თბილისელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს რუსთავის კოლექტივი.

22 მაისს ქუთაისელებმა ფრედ (2:2) დაამთავრეს შეხვედრა თბილისელებთან, რუსთაველებმა მოუგეს გორელებს — 3:1, ხოლო აფხაზეთის გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა აჭარის ნაკრები — 4:0.

ზ. ჯორჯაძე.

## უეფა-ს XII კონგრესი

ედინბურგი, 23 მაისი. აქ მუშაობა დაამთავრა უეფა-ს XII კონგრესმა. ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ა. ფრანკი (იტალია).

კონგრესმა განიხილა უეფა-ს სტატუტის დამატებები და მასთან დაკავშირებული წინადადებები.

განხილულ იქნა, აგრეთვე, ფიფა-ს მომავალი კონგრესის (ივნისი) დღის წესრიგი. ამ კონგრესზე, როგორც ცნობილია, ფიფა-ს პრეზიდენტის არჩევნები მოეწყობა.

უეფა-ს აღმასკომის შემადგენლობაში კვლავ ერთხმად აირჩიეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი ნ. რიაშენცევი.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### პირველი ჯგუფი

● „განთიადი“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 5:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:1. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნეს ტყიბულელებმა (აუშტროვი), ხოლო შესვენების შემდეგ ფართლაძემ გაქვითა გოლი. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ლოლომაძის დარტყმამ მიზანს მიაღწია და „მეშახტემ“ გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

● „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ივერია“ (ხაშური) 4:3. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

რუსთაველთაგან ორი ბურთი გაიტანა სიმონიშვილმა, თითო — მიქაშავიძემ და ალადაშვილმა. „ივერიიდან“ თავი გამოიჩინა ლომსაძემ, რომელმაც „ჰეტ-თრიკი“ შეასრულა.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილება მიიღო გორელმა ვ. ვლაშჩენკომ.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

არმიელები კარგა ხანს წინ იყვნენ პოლტაჩიდის მიერ გატანილი გოლის მეოხებით, მაგრამ მე-80 წუთზე ჯაფარიძემ შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

აღსანიშნავია სოხუმელ ფეხბურთელთა უწესო საქციელი. მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ო. ალანიას. გაფრთხილება ჰქონდა მიღებული გ. კონტავასაც, მაგრამ მან ხელმეორედ დაარღვია წესრიგი, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

ზესტაფონელი ფეხბურთელების ტოგონიძისა და გლინიანოვის ორ გოლს დაემატა ოჩამჩირელი ჯობავას მიერ საკუთარ კარში გატანილი ბურთი. მასპინძელთა კარში ერთადერთი გოლი გაიტანა გუჩუამ. ოჩამჩირელთა მეკარე დგებუაძემ შეძლო 11-მეტრიანი დარტყმის მოგერიება.

● „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

● „კახეთი“ (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

გაფრთხილებული არიან სტუდენტთა გუნდის წევრები გ. კვარაცხელია და თ. სართანია.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 25 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 10 | 7 | 3 | 0 | 20—8 | 17 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 10 | 6 | 3 | 1 | 16—6 | 15 |
| „ლოკომოტ.“ | 10 | 6 | 3 | 1 | 18—10 | 15 |
| ასკ (თბილისი) | 10 | 5 | 4 | 1 | 21—6 | 14 |
| „სალხინო“ | 10 | 4 | 6 | 0 | 13—5 | 14 |
| „კახეთი“ | 10 | 5 | 2 | 3 | 17—16 | 12 |
| „მაღაროელი“ | 9 | 5 | 1 | 3 | 13—6 | 11 |
| ფიზკ. ინსტ. | 10 | 4 | 3 | 3 | 16—13 | 11 |
| „კოლხეთი“ | 9 | 3 | 4 | 2 | 11—9 | 10 |
| „შუქურა“ | 10 | 3 | 4 | 3 | 7—5 | 10 |
| „ამირანი“ | 10 | 4 | 2 | 4 | 9—9 | 10 |
| „ეგრისი“ | 10 | 3 | 4 | 3 | 7—8 | 10 |
| „დინამო“ | 10 | 2 | 5 | 3 | 13—9 | 9 |
| „მეშახტე“ | 10 | 3 | 2 | 5 | 11—15 | 8 |
| „განთიადი“ | 10 | 2 | 3 | 5 | 12—13 | 7 |
| „ქართლი“ | 10 | 3 | 1 | 6 | 14—19 | 7 |
| „სპარტაკი“ | 10 | 1 | 3 | 6 | 9—19 | 5 |
| „ვარძია“ | 10 | 2 | 1 | 7 | 9—22 | 5 |
| „ივერია“ | 10 | 2 | 0 | 8 | 11—25 | 4 |
| „სულორი“ | 10 | 1 | 2 | 7 | 5—29 | 4 |

### მეორე ჯგუფი

**I ზონა**

„არაგვი“ (დუშეთი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 1:2, „განთიადი“ (კასპი) — „კოლმეურნე“ (ბორჯომი) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „განახლება“ (ადიგენი) 3:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 4:1, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „სამცხე“ (აწყური) 2:2.

**II ზონა**

„გიგანტი“ (ლაითური) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 0:0, „ხქური“ (წალენჯიხა) — „მზიური“ (გალი) 1:1, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 4:1.

## ინგლისი — არგენტინა 2:2

ლონდონი, 22 მაისი. „უემბლის“ სტადიონზე დღეს 68 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რათა ენახა ინგლისისა და არგენტინის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

მატჩი ძალიან საინტერესო გამოდგა. სპორტული მიმომხილველების აზრით, ორივე გუნდმა ლამაზად და ტექნიკურად ითამაშა. ერთგვარი უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და ორჯერ დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2.

ანგარიში ჩენონმა გახსნა, მაგრამ არგენტინელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კემპესმა შესვენების შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა. მერე უორტინგტონმა ისევ აიღო არგენტინელთა კარი, მაგრამ იმავე კემპესმა წონასწორობა საბოლოოდ აღადგინა, როცა 89-ე წუთზე პენალტი კარგად გამოიყენა.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

# ალექსანდრია — შული 3:2

რიგა, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ნ. ალექსანდრია (თბილისი) — მ. შულის (ლვოვი) მატჩის V პარტია თითქმის ცხრა საათს გაგრძელდა.

შულმა ამ მატჩში პირველად გაითამაშა სიცილიური დაცვა. ალექსანდრიამ თავისი მწვრთნელის, დიდოსტატ ბ. გურგენიძის მიერ დამუშავებული სისტემა გამოიყენა. ამ სისტემაში მეტოქეებს უწინაც მძაფრი თეორიული დუელი ჰქონდათ. ამჯერად მას შულმა თავი აარიდა და ოდნავ უარესი პოზიციით დაკმაყოფილდა.

როცა შულს ლაზიერის ფრთაზე გაორებული პაიკები, ხოლო ცენტრში სუსტი პაიკი შეექმნა, ნათელი გახდა, რომ ბრძოლა პოზიციურ სტილში გაგრძელდებოდა. ასეც მოხდა.

კონტრთამაშის იმედს შულს ერთადერთი ღია ვერტიკალის დაკავება მისცემდა. მან ლაზიერისა და ეტლის შეთანხმებული მოქმედებით მიზანს მიაღწია. ალექსანდრიას ლაზიერისთვის სარბიელი რომ აღარ დარჩა, გაცვალა ეს ძლიერი ფიგურა. ენდშპილში ნანას უპირატესობა უფრო გამოჩნდა, მაგრამ მისი რეალიზება დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ალექსანდრია თამაშისთვის გამოყოფილი დროის ამოწურვამდე, ვიდრე პარტიას გადადებდა, აძლიერებდა თავის პოზიციას, ამოწმებდა მეტოქის დაცვის შესაძლებლობებს.

შულის მე-40 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო. საშინაო ანალიზით ალექსანდრიამ მოგების გეგმას მიაგნო. ეტლების გაცვლით კიდევ უფრო გამოჩნდა შავი პაიკების სისუსტე. ნანას მხედარი შულის კუზე უფრო „მოძრავი" იყო და მისი აქტიური მონაწილეობით თეთრებმა გამსვლელი პაიკი მიიღეს. ამ პაიკმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

მატჩში კვლავ ალექსანდრია დაწინაურდა — 3:2. VI პარტია 25 მაისს გათამაშდება.

გთავაზობთ V პარტიას.

**ალექსანდრია — შული**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 g6 4. 0—0 კg7 5. ეe1 e5 6. b4 cb 7. a3 მge7 8. ab 0—0 9. კb2 d6 10. კ:c6 მ:c6 11. b5 მd4 12. მ:d4 ed 13. ეa4 კd7 14. მa3 a6 15. კ:d4 ab 16. ე:a8 ლ:a8 17. კ:g7 მფ:g7 18. ლa1+ მფg8 19. c3 ლa4 20. ლb2 ეa8 21. მc2 ლa2 22. ლc1 კc6 23. მb4 ლb3 24. f3 მფg7 25. ლd1 ლ:d1 26. ე:d1 მფf6 27. მფf2 მფe7 28. მფe3 f6 29. ეb1 ეa5 30. h4 h5 31. მd3 მფf7 32. მf4 ეa8 33. მe2 ეa5 34. მd4 მფe7 35. g3 კd7 36. მფf4 ეa2 37. მფe3 ეa5 38. ეg1 ეa8 39. მფf4 ეa2 40. მფe3 ეa8 41. მe2 (ჩაწერილი სვლა). მფf7 42. ეb1 ეa5 43. კh4 ეa4 44. მf4 ე:b4 45. cb კc6 46. d4 კe8 47. d5 კd7 48. მფd4 კc8 49. მg2 მფe7 50. მe3 კd7 51. მd1 კh3 52. მc3 კd7 53. მd1 კh3 54. მf2 კf1 55. მd3 g5 56. მe1 მფf7 57. მc2 კg2 58. მფe3 კh3 59. მd4 კd7 60. hg fg 61. f4 მფf6 62. მf3 gf+ 63. gf კg4 64. მh3 კh3 65. მფd4 კg4 66. მფe3 კh3 67. მf3 კg4 68. მd4 კd7 69. მფf2 კe8 70. მf5 კg6 71. მ:d6 მფe7 72. f5. შული დანებდა.

ნ. ჟურავლიოვი,
ჟურნალ „შახმატის" პასუხისმგებელი მდივანი.

## ტელეფონით

# ყოჩაღ, მაია!

ბრაშოვში (რუმინეთი) მიიწურა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 6 ქვეყნის 13 მოჭადრაკე მონაწილეობს. გუშინ საღამოს დასკვნითი, XIII ტური შედგა. დილით კი ბრაშოვს ტელეფონით ველაპარაკეთ.

ბოლო ტურის შედეგების მიუხედავად, პირველი პრიზიორი უკვე ცნობილი იყო: ეს გახლავთ თბილისელი მოჭადრაკე, 13 წლის მაია ჩიბურდანიძე.

დასკვნითი შეხვედრების წინ მაიას 9.5 ქულა ჰქონდა, ოსტატ მიკელს (გდრ) — 7, ოსტატ მაკაისა (რუმინეთი) და საერთაშორისო ოსტატ ვრეკენს (ჰოლანდია) — 6,5 6,5, თავისი ქვეყნის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ ტეოდორესკუსა და ოსტატ მურეშანს — 6 6, საერთაშორისო ოსტატ ბაუმშტარკს (სამივე — რუმინეთი), ოსტატ ბორისოვას (ბულგარეთი) — 5,5-5,5 ქულა და ერთმანეთში გადადებული პარტია.

ნორჩმა მოჭადრაკემ შთამბეჭდავი თამაშით მოხიბლა უფროსი კოლეგები. მაიამ 8 პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა. ტურნირის მონაწილეთაგან მხოლოდ მას არ წაუგია არც ერთი პარტია.

როგორც რუმინეთის სპორტული პრესა აღნიშნავს, ქალთა საერთაშორისო ტურნირების მატიანეს არ ახსოვს, რომ პირველი პრიზიორი ასე ნორჩი მოჭადრაკე ყოფილიყოს.

## შემადგენლობა ცნობილია

მოსკოვი, 24 მაისი. დამტკიცდა შემადგენლობა სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრებისა, რომელიც ქალაქ ნიცაში 6-30 ივნისს მონაწილეობას მიიღებს XXI საჭადრაკო ოლიმპიადაში.

გუნდის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო დიდოსტატები ა. კარპოვი, ვ. კორჩნოი, ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, მ. ტალი და გ. კუზმინი.

გუნდის კაპიტანია მსოფლიოს ექს ჩემპიონი ვ. სმისლოვი.

# თამაზ გელაძის სახელობისა



სპორტის მოყვარულთა შორის კარგად არის ცნობილი ნიჭიერი ველოსიპედისტის, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მრბოლელის თამაზ გელაძის სახელი. სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე ძალიან ადრე შეწყდა — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს 23 წელიც არ შესრულებოდა, როცა ტალინის ველოტრეკზე შეჯიბრების დროს უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. ეს იყო 1971 წელს.

თამაზმა ადრევე გამოიჩინა თავი, როგორც ძლიერმა სპრინტერმა. 17 წლისა სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა, 18 წლისა — სპორტის ოსტატი. ამ ასაკში მან პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. მალე ჯერ „დინამოს", მერე კი „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოების ჩემპიონი გახდა და საბჭოთა კავშირის სტუდენტ ახალგაზრდებში უძლიერესის სახელი მოიპოვა.

თ. გელაძემ 1964-1971 წლებში რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, ჩემპიონატებში, უნივერსიადებში თუ თასის გათამაშებებში ბევრი მედალი, დიპლომი და პრიზი დაისაკუთრა. დიდ შეჯიბრებებში მას მოპოვებული აქვს 28 დიპლომი — 16 პირველი, 9 მეორე და 3 მესამე ხარისხისა.

თ. გელაძის ხსოვნის თასისთვის თბილისში 1972 წლის სექტემბერში გამართულ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ველოტრეკის გამოჩენილი ოსტატები — მსოფლიოს, სსრ კავშირისა და საქართველოს ჩემპიონები თუ რეკორდსმენები.

ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი თამაზის მშობლიურ ყაზბეგის რაიონში ველოსპორტის განვითარებას. სპორტის ამ სახეობას აქ ახლა მრავალი ახალგაზრდა მისდევს.

1973 წელს კომკავშირის ყაზბეგის რაიკომმა და სპორტკომიტეტმა თამაზ გელაძის სახელობის თასი დააწესეს. ამ პრიზისთვის ასპარეზობა ყოველი წლის მაისში ეწყობა. თასი პირველმა სიონელმა მოსწავლემ ვაჟა ჩქარეულმა მოიპოვა.

სიონის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ვ. ჩქარეულმა უძლიერესის სახელი წლეულსაც შეინარჩუნა: 25 კილომეტრზე საგზატკეცილო რბოლაში რთულ, მთაგორიან ტრასაზე 17 მეტოქე ჩამოიტოვა და პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი — 42.10,0. II ადგილი დაიკავა ყაზბეგის საშუალო სკოლის მოსწავლე დ. ზაგაშვილმა (48.25), III — სნოს საშუალო სკოლის წარმომადგენელმა ს. გელაშვილმა (52.30).

ჩქარეული პირველი იყო 50 კილომეტრზე რბოლაშიც — 1:27.55. II საპრიზო ადგილი აქაც ზაგაშვილმა მოიგო — 1:35.20, III ადგილზეა გორისციხელი თ. ავსაჯანიშვილი — 1:37.10.

თ. სალუქვაძე,
ყაზბეგის რაიონული გაზეთის „დარიალის" რედაქტორი.

• • •

სურათზე: ვ. ჩქარეული ასპარეზობის შემდეგ.
ვ. წიკლაურის ფოტო.

## მეორე ადგილზე

ახლახან დნეპროპეტროვსკიდან დაბრუნდნენ ბამბეულის ქსოვილების კომბინატის სამბისტები, რომლებიც ჭაბუკ მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირში გამოდიოდნენ. გუნდის მწვრთნელმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა გ. ზაუტაშვილმა გვითხრა, რომ შეჯიბრებაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 130 ათლეტი მონაწილეობდა.

გორელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ტოლი არ დაუდეს ძლიერ მეტოქეებს და უკრაინელთა შემდეგ II ადგილი დაიკავეს.

ქართველი ჭაბუკებიდან მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდათ მ. ბითაძეს (48 კგ), პ. კაკაშვილს (70), ვ. გოგიჩაშვილს (81 კგ) და თ. დავითაშვილს (მძიმე წონა), რომლებმაც პირველობა მოიპოვეს.

ვ. ბიბილაშვილმა და თ. გუჩმაზოვმა თავიანთს წონებში II და III ადგილები დაიკავეს.

ახლა გორელი ათლეტები საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

# სენსაციების მეორე მხარე

ჩოგბურთელთა არაოფიციალური მსოფლიო პირველობის — დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში ბევრი მოულოდნელი რამ მოხდა. მაგალითად, გადამწყვეტ მატჩებამდე კარგა ხნით ადრე ბრძოლას გამოეთიშნენ ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები, რომლებიც ომის შემდგომ წლებში „ვერცხლის სასალათის" მფლობელნი იყვნენ. კაიროში ეგვიპტის გუნდთან გამანადგურებელი ანგარიშით (0.5) წააგო ინგლისის ერთ დროს ძლიერმა გუნდმა.

ჩვენ სათანადოდ უნდა დავაფასოთ კოლუმბიისა და ინდოეთის სპორტსმენთა მზარდი ოსტატობა, რომლებმაც საჩოგბურთო „ვეშაპები" დასცეს, აგრეთვე. არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტის გუნდის წარმატება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დამარცხებულებს ამ შეჯიბრებაში თავიანთი უძლიერესი ჩოგბურთელები არ გამოუყვანიათ. ლაპარაკია პირველ ყოვლისა პროფესიულ სპორტსმენებზე, რომლებსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ილტფ) დევისის თასის გათამაშებაში თავიანთი ქვეყნების ნაკრები გუნდების სახელით გამოსვლის უფლება მისცა და რომლებსაც ეს უფლება არ გამოუყენებიათ.

ამჟამად ამ ჩოგბურთელთა უმეტესობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის ამერიკელ საქმოსანთა მიერ ახლახან შექმნილი ეგრეთ წოდებული საჩოგბურთო გუნდების საერთაშორისო ლიგის (უტტ) ტურნირში.

სწორედ ამ საქმოსნებმა აუკრძალეს ჩოგბურთელებს ეროვნული გუნდების სახელით გამოსვლა. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად „ფინანსური მოსაზრებები" დაედო. უძლიერეს ჩოგბურთელთა არყოფნა საქმოსანთა შემოსავალს ბევრად შეამცირებდა.

თავის დროზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა გამართული საჩოგბურთო გუნდების საერთაშორისო ლიგასთან, შეათანხმა მასთან უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებათა თარიღები. მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, ამ შეთანხმების დროს ეროვნულ ფედერაციათა ინტერესები გათვალისწინებული არ ყოფილა. ეს უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, აღშფოთდნენ. საფრანგეთის, იტალიის, გფრ-ისა და შვეციის ჩოგბურთის ფედერაციებმა წინადადება წამოაყენეს, რომ ილტფ-ს ხელმძღვანელი კომიტეტისთვის უნდობლობის ვოტუმი გამოეტანათ. საკითხს განიხილავს ფედერაციის კონგრესი, რომელიც ივლისში ამსტერდამში გაიმართება.

საჩოგბურთო გუნდების საერთაშორისო ლიგა არ აპირებს „თავის" მოთამაშეებს იტალიისა და საფრანგეთის ღია პირველობებში (პირველი შეჯიბრება გაიმართება 25 მაისიდან 2 ივნისამდე, მეორე — 3-16 ივნისს) მონაწილეობის უფლება მისცეს. ეს მაშინ, როცა საფრანგეთის ჩემპიონატი გრუნტიან მოედნებზე არაოფიციალურ მსოფლიო პირველობად ითვლება. იტალიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ფედერაციები მოითხოვენ, რომ ილტფ-ს და უტტ-ს ურთიერთობის საკითხი ხელახალი მსჯელობის საგნად იქცეს.

უკვე ბევრჯერ ითქვა, რომ ბიზნესის მიმართ ილტფ-ს ხელმძღვანელობის დამთმობი პოლიტიკა, რაც ეწინააღმდეგება ეროვნულ ფედერაციათა ინტერესებს, ზიანს აყენებს საერთოდ ჩოგბურთის განვითარებას. ეჭვი არ არის, ეს პოზიცია სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას შეხვდება, ვინაიდან სპორტის ინტერესები და საქმოსანთა ანგარება ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია.

ი. ხრომოვი.
(საკდესის კორ.).

## ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

### რალი... ბაიდარებით

ვილნიუსელმა ინჟინრებმა, ძმებმა ვიტას და სტასის გრიგოგისებმა მოიგეს ლიტვის პირველი რალი... ბაიდარებით. ვიტასი 33 წლისაა, სტასისი — ოცდასამისა.

შეჯიბრების 60-კილომეტრიან დისტანციაზე — ტბებსა და მდინარეებზე კრეტუონსა და ჟეიმიანზე ასპარეზობდა ლიტვის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ასამდე „ორადგილიანი". სარბიელზე გამოვიდნენ ბელორუსიელი სტუმრებიც. ნიჩბოსნებს უნდა გადაელახათ რამდენიმე ეტაპი გრაფიკით, რამდენიმეზე კი სისწრაფეში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს; ეპოვათ ფარული საკონტროლო პუნქტები წყალში და ხმელეთზე. მდინარე ჟეიმიანის ყველაზე სახიფათო მონაკვეთზე ხუთი კარი იდგა და მონაწილეებს ეს დაბრკოლებები სლალომისტებივით უნდა გაევლოთ.

ბაიდარებით შეჯიბრება ყველაზე პოპულარულია ლიტველ ტურისტთა შორის. შვიდი წელია ტარდება ლიტვის პირველობები სლალომში, ამ ზაფხულში კი პლატიალიაის ტბაზე პირველად მოეწყობა რესპუბლიკური ჩემპიონატი წყალზე ორიენტირებაში.

ტბებზე და მდინარეებზე გამართულ ლაშქრობებში ყოველწლიურად ათასობით ტურისტი მონაწილეობს. ყველაზე გულადები ლიტვის ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში გამოდიან. შეჯიბრებები ტარდება ყოველწლიურად... საიანის მთებში, ალტაიში, კოლის ნახევარკუნძულზე და საბჭოთა ქვეყნის სხვა, ბალტიისპირეთიდან დიდი მანძილით დაშორებულ კუთხეებში.

ს. ვაინტრაუბასი.
(საკდესის კორ.).

ვილნიუსი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

27 მაისს

„დინამო" (თბილისი) —
„ჩერნომორეცი" (ოდესა)

დასაწყისი 19 ს.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება 25 და 26 მაისს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში; საერთო გაყიდვა — 27 მაისს 10 საათიდან.

## თბილისის სპორტული აფიშა

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 25 მაისი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი). დასაწყისი 12 ს. 26 მაისი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). 10 ს. სიჭაბუკის თასი. „ავაზას" ბაზა დიღომში. „ავაზა" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია). 16 ს. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი — „სპორტინტერნატი" (თბილისი). 11 ს.

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). 25-26 მაისი. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის ამხანაგური მატჩი. დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66442

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02589